სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/182

ქ. თბილისი 8 დეკემბერი 2022 წ.

2022-2023 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 18 ნოემბრის №1477532 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 18 ნოემბრის №1477532 ბრძანებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2022 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 608 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;

2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81%-ს და მეტს;

   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.
6. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**